ხელშეკრულება

ამწე კალათით მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი, **----------, 20-- წელი.**

ერთის მხრივ, **შპს "RMG Gold"** (ს/კ 225359947) (შემდგომში წოდებული, როგორც "დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **თორნიკე ლიპარტიას** სახით, და მეორეს მხრივ, **----------** (ს/კ ----------) (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსრულებელი"), წარმოადგენილი ---------- სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშკრულების ფარგლებში, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მხოლოდ "დამკვეთის" წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მისი მითითებების შესაბამისად, "დამკვეთის" საწარმოო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განახორციელოს ---------- ერთეული ამწე კალათით მომსახურება (შემდგომში - მომსახურება), ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას გაწეული მომსახურებისთვის გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამწე კალათებია:

1.2.1. ----------

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. „შემსრულებელი"იღებს ვალდებულებას ხარისხიანად, უნაკლოდ, ჯეროვნად, სრულად და კეთილსინდისიერად მის მფლობელობაში არსებული ამწით მხოლოდ "დამკვეთის" წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მისი მითითებების შესაბამისად განახორციელოს ამწე კალათებით მომსახურება.

2.2. სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს "დამკვეთს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროის ნებისმიერ მონაკვეთში "დამკვეთის" მოთხოვნის შესაბამისად;

2.3. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურე ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ აქვს უფლება შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

2.4. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მომსახურე ტექნიკის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაწევაზე (საწვავი, საცხებ-საპოხი მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა), ასევე მის ტექნიკურ მომსახურებაზე.

2.5. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება განახორციელოს მაღალპროფესიონალი კადრების მეშვეობით და თავად აგებს პასუხს მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე და გამოწვეულ შედეგზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.6. შემსრულებელი უზრუნველყოფს მოძრაობის წესების დაცვას (სიჩქარის შეზღუდვა და ა.შ.) და შრომის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციებითა და ნორმებით დადგენილი პირობებისა და დამკვეთის საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედი წესების დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად ეკისრება სრული პასუხისმგებლობა აღნიშნილით გამოწვეულ შედეგებზე.

2.7. „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას დროულად და სრულად გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის საზღაური.

2.8. ‘’დამკვეთი’’ ვალდებულია უზრუნველყოს „შემსრულებელი“ ყველა იმ აუცილებელი პირობის შექმნით, რაც დაკავშირებულია ან/და გამოწვეულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისთან.

2.9. „შემსრულებლის“ მიერ „დამკვეთისთვის“ სხვა მომსახურების გაწევა, რაც არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით და ასეთი მომსახურებისათვის სანაცვლო ანაზღაურების საკითხი, მოწესრიგდება მხარეთა შორის დამატებით დადებული შეთანხმებით.

2.10. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეული მომსახურებისთვის ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღეს შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტები, რითაც დადასტურდება მომსახურების მიწოდება, რათა „დამკვეთმა“ განახორციელოს ანგარიშსწორება, ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ფასის შესაბამისად.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება თითოეული ამწე კალათისათვის განისაზღვრება ყოველი ნამუშევარი საათისთვის ---------- ------- ლარის ოდენობით.

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხა მოიცავს მოქმედი საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებული ღირებულების გადასახადს.

3.3. “მხარეები” ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღეს ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც ასახული იქნება შესრულებული სამუშაოს სრული მოცულობა.

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში;

3.2. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურეობის დროს წარმოიშვა ისეთი გარემოებები, რომელიც წინასწარ არ იგულისხმებოდა, რაც გამოიწვევს „შემსრულებლის” მხრიდან დამატებით მატერიალურ, ან ინტელექტუალურ დანახარჯებს, დაექვემდებარება ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დანახარჯები წინასწარ ეცნობება „დამკვეთს“ და „დამკვეთი“ ასეთზე თანხმობას დაადასტურებს წერილობითი ფორმით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის ----------დან და მოქმედებს ---------- ჩათვლით.

4.2. „ხელშეკრულება“ შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სისტემატიურად დარღვევის შემთხვევაში;

4.3. მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება ვადაზე ადრე, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინონ ერთმანეთს ამ ხელშეკრულების ფაქტობრივ შეწყვეტამდე ერთი კვირით ადრე.

4.4. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამოიწვევს მეორე მხარისათვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის გაუქმებას.

4.5. 4.1. პუნქტში აღნიშნული ვადის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად წყდება და არ საჭიროებს წინასწარ მხარისათვის რაიმე სახის შემტყობინებას.

5. **ფორს-მაჟორი**

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის შედეგად, კერძოდ წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით, ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები).

5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე.

6. **მხარეთა პასუხისმგებლობა და გარანტიები**

6.1. მხარეებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ხელშეკრულების პირობების დარღვევას მხარეები ვალდებულნი არიან გამოასწორონ აღნიშნული ხარვეზი და აანაზღაურონ ამით გამოწვეული ზიანი;

6.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას;

6.4. მხარეები ადასტურებენ, რომ მათი წარმომადგენლები არიან სათანადოდ, სრული უფლებით აღჭურვილნი, რათა ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას და ყველა საჭირო დოკუმენტს, რაც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, რისთვისაც ისინი მოქმედებენ მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით;

6.5. მხარეები აცხადებენ, რომ გადაიხდიან ყველა სახის გადასახადს, გადასახდელს, საბიუჯეტო შენატანსა და მოსაკრებელს, რომლის გადახდის წესი, ოდენობა და პერიოდულობა განისაზღვრება ყოველი კონკრეტული დასაბეგრი ოპერაციის შესრულების მომენტში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. **დავის გადაწყვეტის წესი**

7.1. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით;

7.2. თუ „ხელშეკრულების“ პირობებთან დაკავშირებული დავა, რომელიც წარმოიშვა მხარეებს შორის, ვერ გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს საერთო სასამართლოში, განსჯადობის წესის შესაბამისად.

8. **ანტიკორუფციული პირობები**

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და მათი შუამავლები პირდაპირ ან ირიბად არ მიიღებენ, არ გადაიხდიან, არ შესთავაზებენ გადახდას და არ მისცემენ რაიმე სახის ფულადი სახსრებისა ან ფასეულობების გადახდის უფლებას ნებისმიერ პირებზე, აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ან მოქმედებაზე გავლენის მოსახდენად

ნებისმიერი სახის არაკანონიერი უპირატესობის მოსაპოვებლად ან/და არაკანონიერი მიზნის მისაღწევად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებულლი პირები, თანამშრომლები ან/და შუამავლები არ განახორციელებენ მოქმედებას რომელიც მოქმედი კანონმდებლობით კვალიფიცირებული იქნება, როგორც ქრთამის აღება/მიცემა, კომერციული მოსყიდვა, ასევე სხვა მოქმედება, რომელიც არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს რომლებიც მიმართულია კანონსაწინააღმდეგო გზით შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ.

8.3. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ დაუშვებენ ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტს.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყოველი მხარე უარს აცხადებს მეორე მხარის თანამშრომლების რაიმე სახით სტიმულირებაზე მათ შორის მათთვის ფულადი სახსრების, საჩუქრების გადაცემის, მათთვის უსასყიდლო მომსახურების გაწევის ან რაიმე სხვა გზით, რომელიც აღნიშნულ პუნქტში არაა მითითებული და რომელიც მეორე მხარის თანამშრომელს აყენებს გარკვეულ დამოკიდებულ პოზიციაში და მიმართულია აღნიშნული თანამშრომელის მიერ რაიმე სახის მოქმედების განხორციელებისთვის მისი მასტიმულირებელი მხარის სასარგებლოდ.

8.5. "დამკვეთი" იტოვებს უფლებას, რომ მეორე მხარის მიერ ჩადენილი არაკანონიერი მოქმედებების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს: კონტრაქტორთან ურთიერთობაზე გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესება ან/და წინამდებარე კონტრაქტის შეწყვეტა.

8.6. მხარეები აცხადებენ, რომ განახორციელებენ ყველა საჭირო მოქმედებას წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევების შესაბამისად გამოსაძიებლად და გაატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს გართულებებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად.

8.7. მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ დაიცავენ სრულ კონფიდენციალურობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანტიკორუფციული პირობების შესრულების დროს და ასევე მიმართავენ ყველა ღონეს რათა გამოირიცხოს ნეგატიური შედეგები დარღვევის შესახებ შეტყობინების განმახორციელებლი მხარის მიმართ, ასევე აღნიშნული მხარის თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც შეატყობინეს დარღვევის ფაქტის შესახებ.

9. კონფედენციალობა

9.1. მხარეები ვალდებულნი არიან საიდუმლოდ დაიცვან ნებისმიერი მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც მიაწოდეს მხარეებმა ერთმანეთს ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის. არ გაამხილონ ან გაახმაურონ, ნაწილობრივ ან მთლიანად, ფაქტები ან ინფორმაცია მესამე პირთან, ამ ხელშეკრულების მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. შემსრულებელი ვალდებულია არ გამოიყენოს რაიმე მიზნებისათვის მიღებული ინფორმაცია დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე ან პირიქით.

9.3. კონფიდენციალურობის პასუხისმგებლობა შემსრულებლის მხრიდან არ ვრცელდება დამკვეთის იმ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება გახმაურდეს ან გახდეს ცნობილი შემსრულებლისაგან დამოუკიდებლად.

9.4. კონფიდენციალობის დაცვა მოქმედებს მანამ, სანამ დამკვეთი იცავს ამ ინფორმაციის კონფიდენციალობას.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები:

10.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ძალას კარგავს მხარეთა შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ასევე, მხარეთა შორის

არსებული ყველა წინა ხელშეკრულება, მისი დამატება, მოლაპარაკება, შეთანხმება და მიმოწერა, რომელიც ეხება ამ ხელშეკრულების საგანს.

10.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

10.3. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გამო, რის შედეგადაც „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის მოქმედება შეწყდა, „ხელშეკრულების“ დანარჩენი მუხლები რჩება ძალაში.

10.4. ყველა დანარჩენ საკითხებზე, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

10.5. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ შეიძლება გახდეს მხარეთა მიერ პასუხისმგებლობისაგან და შეუსრულებელი ვალდებულებებისაგან თავის არიდების საფუძველი.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „შემსრულებელს“ ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება „დამკვეთთან“.

“შემსრულებელი“

შპს “----------”
მის. ----------
საიდენტიფიკაციო კოდი: **----------**
ტელ: ----------
ელ. ფოსტა: **----------**
ბანკი: ----------
ბანკის კოდი:
ა/ა:

დირექტორი:

_____

( )

“დამკვეთი“

შპს “RMG Gold”
მის. ბოლნისის რ-ნი, დ. კაზრეთი
საიდენტიფიკაციო კოდი: **225359947**
ტელ: 2 47 45 45
ელ. ფოსტა: info@richmetalsgroup.com

აღმასრულებელი დირექტორი:

_____

(თორნიკე ლიპარტია)